N გ-22-03/2001
22/08/2022

2001-გ-22-03-2-202208221626

სს ,,მედია ჰოლდინგს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ **2022 წლის 25 აგვისტოს, 15:00 საათზე** გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება სს ,,მედია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ ფიზიკურ პირ გიორგი ყიფიანის საჩივრის განსახილველად მიღების საკითხის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

დანართი:

1. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიმართვა (N22-10-1370; 04/08/2022);
2. ფიზიკურ პირ გ. ყიფიანის საჩივარი (Nშ-22-9/2856; 04/08/2022);
3. კომისიის წერილი გ. ყიფიანს (Nგ-22-03/1902; 08.08.2022).

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია